აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს წევრი დავით თედორაძე

2023 წლის საგაზაფხულო სესიიდან **2024** წლის საგაზაფხულო სესიამდე
გაწეული საქმიანობის ანგარიში

საქმიანობის ზოგადი მიმოხილვა

საანგარიშო პერიოდში ვახორციელებდი საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებულ საქმიანობას: კომიტეტის წევრებთან ერთად ვმუშაობდი წარმოდგენილი საკანონმდებლო საკითხების განხილვაზე, ვიხილავდი საქართველოს პარლამენტიდან გამოგზავნილ განათლების, მეცნიერების, კულტურის, ახალგაზრდობისა და სპორტის სფეროსთან დაკავშირებულ კანონპროექტებს.

უფლებამოსილების ფარგლებში, უმაღლესი საბჭოს რეგლამენტისა და სახელმწიფო პრიორიტეტებიდან გამომდინარე, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტის წევრებთან ერთად, ვმონაწილეობდი - საზედამხედველო საქმიანობასა და აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამის უწყებებზე კონტროლის განხორციელებაში.

ვმონაწილეობდი, საანგარიშო პერიოდში, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტში ჩატარებულ 12 და ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტში ჩატარებულ 8 სხდომის მუშაობაში.

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის წევრეთან ერთად მოვისმინე:

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ინფორმაცია სამინისტროს 2023 წელს გაწეული მომსახურებისა და 2023 წლის ღონისძიებების შესახებ;

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე ყოველკვარტალური ანგარიში (2023 წლის I, II და III კვარტალი);

- სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს აჭარის ფილიალის უფროსის ინფორმაცია მიმდინარე და 2023 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ;

ვესწრებოდი 2 სამუშაო შეხვედრა, რომელზეც მოსმენილი იქნა შემდეგი ინფორმაციები:

- 1.აჭარის ავტონომური რესპუბლიკის ჯანმრთელბისა და სოციალური დაცვის მინისტრის, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრისა და სამედიცინო დაწესებულებების ხელმძღვანელთა ინფორმაცია სეზონური ვირუსული დაავადებების შემთხვევათა მატებასთან დაკავშირებით;
- 2.ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ილია ვერძაძე "ირმა ხვიჩიას რეაბილიტაციის ცენტრის" კლინიკურ დირექტორს - ირმა ხვიჩიას, „მედიქლაბჯორჯიას" წარმომადგენლებს - „საქართველოს მყიფე x სინდრომის ცენტრის" კოორდინატორს ნაზი ტაბატაძესა და „ნეიროგენეტიკისა და მეტაბოლიზმის ცენტრის" დირექტორს თამარ გაჩეჩილაძეს შეხვდნენ. სამუშაო შეხვედრა აჭარაში აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა საჭიროებებს, სკრინინგს, დიაგნოსტირებას, მკურნალობას, მონიტორინგსა და მკურნალობის ახალ მეთოდებზე ხელმისაწვდომობის საკითხებს დაეთმო.

შეხვედრები მქონდა სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებების მედპერსონალთან. აღნიშნული შეხვედრების ძირითადი მიზანი გახლდათ საფუძვლიანად შეგვესწავლა ის პრობლემები, რომელთა გადაჭრის გარეშე ჯანდაცვის სფეროში სახელმწიფო რეფორმების გატარება და მოსახლეობის სამედიცინო დახმარების მდგომარეობის გაუმჯობესება შეუძლებელი იქნება. შეხვედრის დროს დასმული იქნა სხვადასხვა პრობლემური საკითხი, რომელთა უმრავლესობა ეხებოდა სამკურნალო დაწესებულებების კვალიფიციური სამედიცინო კადრების სიმცირის, სახელფასო განაკვეთების გაზრდის და ექიმამდელი სამედიცინო დახმარების პუნქტების (სოფლის ამბულატორია) რეაბილიტაციის და სამედიცინო დაწესებულების წინაშე სოციალურად დაუცველ პაციენტთა დავალიანებების საკითხებს, რომელთა უმეტესი ნაწილი მოგვარებული იქნა.

განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტის წევრებთან ერთად:

საზედამხედველო საქმიანობის ფარგლებში მოვისმინე:

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიური და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების ანგარიშები;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის ორი კვარტლის შესრულების ანგარიში;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის სამი კვარტლის შესრულების ანგარიში; ჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი და ბიუჯეტის შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის (2024-2027 წლების) პრიორიტეტების დოკუმენტი;

- აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ კულტურის მიმართულებით გაწეული საქმიანობის ანგარიში;

- ა(ა)იპ აჭარის განათლების ფონდის ხელმძღვანელის - სულიკო თებიძის ინფორმაცია გაწეული საქმიანობის შესახებ;

- სს(ი)პ „აჭარის მუზეუმის“ დირექტორის თეონა ზოიძის ინფორმაცია წლის განმავლობაში გაწეული საქმიანობისა და სამუზეუმო საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით გაწეული ღონისძიებების შესახებ;

- სსიპ აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს მიერ 2022 -2023 წლებში გაწეული საქმიანობის შესახებ ინფორმაცია.

დ. თედორაძე